საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 73

24 05 2016 წელი

მოქალაქე სადრადინ გადიმოვის 2013 წლის 23 იანვრის

საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის სხდომის N9 ოქმის მე-17 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 3 თებერვლის N4-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 60[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტებ ის საფუძველზე

1. ბათილად იქნეს ცნობილი მოქალაქე სადრადინ გადიმოვზე (პ/ნ 28001011004) მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული 2013 წლის 23 იანვრის N9 საკუთრების უფლების მოწმობა.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიამ (თავმჯდომარე ზურაბ ჭონიაშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად საჭირო ქმედებების განხორციელება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვალერი მეტრეველს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი